



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი



# ფარული ბენეფიციარები გამოგონილი ფიგურების მიღმა

2020



Supported by  
**Luminate**  
Building stronger societies



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

---

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate -ის პოზიციას.

# **ფარული ბენეფიციარები გამოგონილი ფიგურების მიღმა**

**დავით მაისურაძე**

**ღია მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელი, IDFI**

**2020**





# სარჩევნი

<b>მიმოხილვა</b> .....	<b>6</b>
<b>შესავალი</b> .....	<b>9</b>
<b>ბენეფიციარი საკუთრების ანალიზი</b> .....	<b>12</b>
<b>ბენეფიციარი საკუთრების სტრუქტურა</b> .....	<b>14</b>
<b>ბენეფიციარი საკუთრების დამალვა</b> .....	<b>17</b>
<b>სახელმწიფოებისა და საერთაშორისო აქტორების მიერ გამოყენებული სამართლებრივი საშუალებები</b> .....	<b>19</b>
- ელექტრონული მექანიზმები .....	<b>20</b>
- ზედამხედველობა სამოქალაქო საზოგადოების მიერ .....	<b>25</b>
- სახელმწიფო სააგენტოები .....	<b>25</b>
- ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობა გარიგებებში .....	<b>25</b>
- ვალდებულებები OGP- ისა და EITI- ს ფარგლებში .....	<b>26</b>
- ევროკავშირის დირექტივები ბენეფიციარ საკუთრებასთან დაკავშირებით	<b>28</b>
<b>რეკომენდაციები საქართველოსთვის</b> .....	<b>29</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b> .....	<b>32</b>





**მიმოხილვა**

ბენეფიციარი მესაკუთრეების საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საკამათო და აქტუალურ თემას მსოფლიოში. მთავრობები, ისევე როგორც საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ცდილობენ შეიმუშაონ ახალი რეგულაციები ბენეფიციარ მესაკუთრეებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ინტერესი ბენეფიციარი მესაკუთრეების მიმართ გაზრდილია. კომპანიები ხშირად არიან კორუფციაში ჩაფლული, განსაკუთრებით მაღალი დონის კორუფციაში. ხელისუფლების წარმომადგენლები მალავენ თავის ვინაობას ისეთი კომპანიების მიღმა, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზღვარგარეთ, რათა აწარმოონ ბიზნესი არალეგიტიმური ფინანსური რესურსების გამოყენებით.

ერთი მხრივ, ეკონომიკისა და ბიზნეს სფეროში, განსაკუთრებით კი ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე, ბენეფიციარი და ნომინალური მესაკუთრეების ცნება ფართოდ არის გავრცელებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეალური მფლობელის ფარულობა ხშირად წარმოადგენს პრობლემას სახელმწიფო როგორც ეკონომიკური, ისე სამართალწარმოების სფეროსთვის. ყველაზე მეტად კი ეს ტენდენცია შეიმჩნევა სახელმწიფო შესყიდვებში, მოპოვებით მრეწველობაში, მსხვილ ბიზნესსა და უცხოურ ინვესტიციებში.

ფიზიკური პირები, რომლებიც დიდი ფინანსური აქტივების მფლობელები ხდებოდნენ კორუფციისა და სხვა უკანონო საშუალებების გზით, ხშირად მალავენ საკუთარ ვინაობას, რათა გაეთეთრებინათ ფული და შეესრულებინათ სხვადასხვა არალეგიტიმური ტრანზაქცია. შესაბამისად, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებლობას წარმოადგენს ისეთი მექანიზმების გაძლიერება, რომლებიც უზრუნველყოფენ ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობენ ნომინალური მფლობელების მიღმა მყოფი რეალური პიროვნებების გამოვლენას.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ აქტიური ღონისძიებები გაატარა ბენეფიციარ მესაკუთრეობასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. ამ დოკუმენტში მოცემული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დასახელებული პრობლემების გადაჭრის ყველაზე ფართოდ გავრცელებული და ეფექტიანი გზა არის - ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრის შექმნა, რისი მეშვეობითაც დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გადაამოწმონ კომპანიების ნამდვილი მფლობელების ვინაობა. ამავე დროს, არსებობს სხვა საშუალებებიც, რომლებიც ხელს უწყობს რეესტრის უტყუარობას და კომპანიების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობას. ზოგიერთმა ქვეყანამ და საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციამ დაწერა რამდენიმე მექანიზმი, რომლებიც ეფექტურია ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობისთვის. აღნიშნული მექანიზმები მოკლედ არის განხილული წინამდებარე დოკუმენტში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბენეფიციარი მესაკუთრეების საკითხი მნიშვნელოვანი გამოწვევაა განვითარებადი ეკონომიკისთვის. 1990-იანი წლები რთული პერიოდი იყო პოსტსოციალისტური სამყაროსთვის. ეკონომიკისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ტრანსფორმაციას თან ახლდა კორუფციისა და ხელისუფლების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მრავალი შემთხვევა. უკანონო ქმედებების შედეგად მოპოვებული თანხა ხშირ შემთხვევაში გამოყენებული იყო კონკრეტული პოლიტიკური ან ბიზნეს დღის წესრიგის განსახორციელებლად. საქართველო ერთ-ერთი მაგალითია, სადაც 90-იან წლებში რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება სუფევდა, მაგრამ მოგვიანებით, 2003 წლის შემდეგ, საქართველოში სწრაფი რეფორმები განხორციელდა კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის რეფორმა საქართველოში არ განხორციელებულა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გახდა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წევრი ქვეყანა, მთავრობამ უგულებელყო არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) რეკომენდაციები ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნის შესახებ. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ლონდონში ანტიკორუფციული სამიტის დროს საქართველოს მთავრობამ აიღო ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნის ვალდებულება, თუმცა ეს ვალდებულება ამ დრომდე განხორციელებული არ არის. დამატებით, ანტიკორუფციულ სამიტზე საქართველომ აიღო შემდეგი ვალდებულებები: სამართალდამცავი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება ოფშორული კომპანიების ბენეფიციარი მფლობელების შესახებ; ასეთი ინფორმაციის გაცვლის მიზნით ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება პარტნიორ ქვეყნებთან; აუცილებელი ზომების გატარება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების საკუთრების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად; საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმოჩენისა და პრევენციის მიზნით.<sup>1</sup>

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ლონდონში ანტიკორუფციულ სამიტზე ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად საქართველომ გარკვეული ქმედებები განახორციელა, მაგრამ საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო

1 საქართველო ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2016, ხელმისაწვდომია: <https://idfi.ge/ge/georgia-at-london-anti-corruption-summit>.

მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის მისაღწევად. შესაბამისად, პრობლემები ბენეფიციარი საკუთრების სფეროში კვლავ რჩება.

კიდევ ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტს, OGP-ისა და სხვა საერთაშორისო ინიციატივებთან და ორგანიზაციებთან ერთად, ბენეფიციარი საკუთრების სფეროში გამჭვირვალობის მიღწევა წარმოადგენს არის მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა (EITI). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან წლების განმავლობაში აქტიური ადვოკატირების მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ უარი თქვა EITI-ის პრინციპების დანერგვაზე.<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს, რომ EITI-ს პრინციპების დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ბენეფიციარი მესაკუთრების შესახებ არსებული ინფორმაციის გამჭვირვალობასა და ღიაობას.

თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი სექტორი, სადაც უფრო ფართოდ არის ნომინალური მფლობელობა წარმოდგენილი. განსაკუთრებით ეს სფეროებია - სახელმწიფო შესყიდვები და მოპოვებითი მრეწველობა. აღიარებულია, რომ მოპოვებითი ინდუსტრიების შემთხვევაში, ეს პირდაპირ უარყოფითად აისახება გარემოზე და ადგილობრივი თემების უფლებებზე.

სახელმწიფო შესყიდვების დროს, სახელმწიფო ფინანსური სახსრების გამოყენება შესაძლებელია მოხდეს მმართველი პოლიტიკური პარტიების შვილობილი კომპანიებისა ან/და მთავრობის წევრების გასამდიდრებლად. გამჭვირვალობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ორგანოების ეფექტური ფუნქციონირებისთვის, ასევე კორუფციისა და ფულის გათეთრების პრევენციისთვის. სახელმწიფო შესყიდვებში და მოპოვებით მრეწველობაში კორუფციულმა საქმიანობამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ისეთ სფეროებზე, როგორცაა ინფრასტრუქტურა, სოციალური და ეკონომიკური სექტორები, კულტურული ძეგლების დაცვა და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია.

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს ბენეფიციარი საკუთრების ცნების და სტრუქტურის ანალიზს. ნაშრომი ხაზს უსვამს ბენეფიციარ მესაკუთრებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამომწვევ მიზეზებს და მიმოიხილავს საერთაშორისო კარგ პრაქტიკას, რომელიც პასუხს სცემს ამ თემასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოსა და იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც სურთ შექმნან ბენეფიციარი მესაკუთრების რეესტრი და უზრუნველყონ მეტი გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება ამ სფეროში.

დოკუმენტის შემუშავებისას, ავტორებმა აქტიურად გამოიყენეს სხვადასხვა წყარო, მათ შორის, საერთაშორისო აქტორების პოლიტიკის დოკუმენტები, რომელთა ანალიზიც ქვემოთაა მოცემული.

2 IDFI-ს რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის 2021-2022 წლების ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმისთვის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2020, გვ 3, ხელმისაწვდომია: <https://idfi.ge/public/upload/OGP/IDFI%20OGP%20Commitments-gov-geo.pdf>.





**შესავალი**

ტერმინი ბენეფიციარი მესაკუთრე მოიცავს ორ ასპექტს: (1) როდესაც საკუთრების უფლებები ეკუთვნის ბენეფიციარ მესაკუთრეს (საბოლოო მესაკუთრეს), (2) ხოლო საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული იურიდიული ტიტული ეკუთვნის ნომინალურ მესაკუთრეს (იურიდიულ მესაკუთრეს). საკუთრების იურიდიული ტიტულის ფლობისა და საკუთრების საბოლოო უფლების დაყოფის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მაგალითია საბროკერო კომპანიები. ბროკერები კლიენტების ფულს დებენ გარიგებებში, რათა ინვესტიციებიდან საბოლოო მოგება ბენეფიციარი მესაკუთრების საკუთრება გახდეს, ხოლო ნომინალური მფლობელები იღებენ კონკრეტულ ანაზღაურებას მათი მომსახურებისთვის.

ბენეფიციარი საკუთრების კიდევ ერთი მაგალითია კომპანიებში წილების რაოდენობის კონტროლი. მაგალითად, გავრცელებულია მოსაზრება, რომ დახურული ტიპის კომპანიაში 51%-ის ფლობა საკმარისია მართვის უფლებებისთვის, მაგალითად, ისეთი აქტივობებისთვის, როგორცაა: დირექტორის არჩევა, საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებული გარკვეული უფლებების განხორციელება, კომპანიის უძრავი ქონების გაყიდვა და დივიდენდების გაცემა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როდესაც საქმე ეხება ღია ტიპის კომპანიებს, სადაც ხშირად აქციათა მცირე წილის მფლობელი აქციონერები გვევლინებიან, აქციების 15-20%-ის ფლობა შეიძლება საკმარისი იყოს კომპანიაში მენეჯმენტისა და საკუთრების უფლების განხორციელებისათვის.

ტერმინი „ბენეფიციარი საკუთრება“ უკავშირდება საკუთრების მინდობის (ტრასტის) სამართლის განვითარებას. „აქტივის ბენეფიციარი მესაკუთრის განმსაზღვრელი მახასიათებელია ის, რომ მას აქვს კონტროლი იმ აქტივზე, რომელიც საშუალებას აძლევს მას მიიღოს სარგებელი. არის თუ არა ის კანონიერი მესაკუთრე (სამართლებრივი ტიტულის მფლობელი), არ არის რელევანტური. „ბენეფიციარი საკუთრების“ არსი არ არის საკუთრება, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არამედ კონტროლი“.<sup>3</sup>

ბენეფიციარ მესაკუთრესთან დაკავშირებული პრობლემები ჩნდება მაშინ, როდესაც მესაკუთრეები ცდილობენ დამალონ თავიანთი ვინაობა და გამოიყენონ გარკვეული სამართლებრივი მექანიზმები, რათა თავიდან აიცილონ საჯაროობა. ეს მექანიზმი უნდა განვასხვავოთ აქციონერთა რეესტრისგან, რომელსაც ქმნიან ცალკეული, დამოუკიდებელი სუბიექტები, რომლებიც დაქირავებულნი არიან ღია ტიპის კორპორაციების მიერ. აქციონერთა რეესტრის შემთხვევაში მრავალი საკანონმდებლო ჩარჩო და საფონდო ბირჟის რეგულაცია უზრუნველყოფს იმ აქციონერების გამჭვირვალობას, რომელთა წილიც 5%-ს აღემატება.

ჩვენი პოლიტიკის დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ არ ვართ დაინტერესებული აქციების გამჭვირვალობით, რომლებიც 5%-ზე ნაკლებია, რადგან საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეს პროცენტი არ წარმოადგენს აქციათა საკონტროლო პაკეტს ან მნიშვნელოვან წილს.

ბენეფიციარი მესაკუთრების პრობლემები ძირითადად დაკავშირებულია ოფშორულ ქვეყნებთან, სადაც საკანონმდებლო რეგულაციები საშუალებას აძლევთ კომპანიების მფლობელებს, რომ დამალონ ვინაობა. სამწუხაროდ, მრავალი კომპანია იყენებს ოფშორულ ქვეყნებს ფულის გასათეთრებლად, ტერორიზმის დასაფინანსებლად და კორუფციის შედეგად მიღებული თანხის დასამალად.

მნიშვნელოვანია, დოკუმენტში ასეთი ქვეყნები გაიმიჯნოს იმ სახელმწიფოებისგან, სადაც მოქმედებს გადასახადების გადახდის საშუალებით რეჟიმი. ძირითადად, ასეთ სახელმწიფოებში კომპანიის მფლობელების შესახებ ინფორმაცია ღიაა, ან აღნიშნული ქვეყნები თანამშრომლობენ ფულის გათეთრებისა და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა კომპანიებს სთავაზობენ ნულოვან საგადასახადო პოლიტიკას ან გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს. წინამდებარე კვლევა უფრო მეტად ფოკუსირებულია შავ სიაში მოხვედრილ ოფშორულ ფინანსურ ცენტრებზე, რომლებიც კომპანიებს ეხმარებიან მათი მფლობელების ვინაობის დამალვაში.

ბოლო 15-20 წლის განმავლობაში, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ, როგორცაა ევროკავშირი, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (FATF) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), შექმნეს შავი და ნაცრისფერი სიები იმ ქვეყნებისა, რომლებიც ითვლება, რომ წარმოადგენენ არაგამჭვირვალე, არამოთანამშრომლე იურისდიქციებს. ეს იურისდიქციები ეხმარებიან კომპანიებს გადასახადების დამალვაში, არ თანამშრომლობენ ფინანსური ინფორმაციის გაცვლის მიზნით სხვა ქვეყნებთან და ჩართულნი არიან ფულის გათეთრების პროცესში.

3 The Puppet Masters – How the Corrupt Use Legal Structures to Hide Stolen Assets and What to Do About It, Willebois, D. E., et al. გვ. 19, World Bank, 2011, ხელმისაწვდომია : <https://star.worldbank.org/sites/star/files/puppetmastersv1.pdf>.



2017 წლიდან ევროკავშირმა შექმნა ასეთი ქვეყნების შავი სია, რომელიც რამდენჯერმე განახლდა. 2020 წლის მდგომარეობით, ეს სია მოიცავს შემდეგ სახელმწიფოებს: ამერიკის სამოა, კაიმანის კუნძულები, ფიჯი, გუამი, ომანი, პალაუ, პანამა, სამოა, სეიშელის კუნძულები, ტრინიდადი და ტობაგო, აშშ ვირჯინიის კუნძულები და ვანუატუ.<sup>4</sup> შავ სიაში მოხვედრილ ფინანსურ ცენტრებთან ერთად ასევე არიან ქვეყნები, რომლებიც ნაცრისფერ სიაში არიან წარდგენილნი, მაგალითად, იორდანია, მაროკო და ტაილანდი.<sup>5</sup> კორუფციისა და ფულის გათეთრების შემთხვევების დამალვის ყველაზე რადიკალური შემთხვევები უკავშირდება შავ სიაში მყოფ ქვეყნებს.

ჩვენი პოლიტიკის დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ იურიდიული ჩარჩოების ანალიზს, რადგან ბენეფიციარი მესაკუთრების შესახებ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა შესაძლოა იყოს ზემოთ ხსენებული პრობლემების მთავარი მიზეზი. ბენეფიციარი მესაკუთრების ანალიზისა და მის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების განხილვის საფუძველზე, პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს ბენეფიციარი მესაკუთრების ვინაობის დამალვის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების ანალიზს.

საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ გამოავლინონ პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ბენეფიციარი მესაკუთრების ვინაობის დამალვასთან და ისინი ნერგავენ ისეთ მექანიზმებს, რომლებიც ამ პრობლემის გადაჭრისთვის იქნება ეფექტური და წარმატებული. ამ მიმართულებით ორგანიზაციებს FATF, OGP და EITI მნიშვნელოვანი როლი უკავიათ.

უფრო კონკრეტულად, FATF-ის სტანდარტები მიზნად ისახავს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლას და ქვეყნები, რომლებიც იცავენ FATF-ის სტანდარტებს კორუფციის ნაკლები მაჩვენებლით გამოირჩევიან. ასევე აღსანიშნავია საერთაშორისო ინიციატივის, OGP-ის როლი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას. ეს ვალდებულებები მოიცავს კორუფციის პრევენციას, გამჭვირვალობის მექანიზმების დანერგვას, მოპოვებით მრეწველობაში ანგარიშვალდებულების გაძლიერებას. შესაბამისად, OGP-ის წვლილი დიდია ბენეფიციარი მესაკუთრების საკითხთან დაკავშირებული გამოწვევების აღმოფხვრაში.

ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია EITI-ს როლი, რადგან მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა მხარს უჭერს ბენეფიციარი მფლობელების გამჭვირვალობას. აღსანიშნავია, რომ მოპოვებითი მრეწველობის სფეროში განსაკუთრებულად აუცილებელია ისეთი მექანიზმების არსებობა, რომლებიც იცავს გარემოს ზემოქმედებისგან და უზრუნველყოფს ადგილობრივი თემების კეთილდღეობას.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინიციატივების გარდა, არსებობს რამდენიმე ქვეყანა, რომელიც მხარს უჭერს ციფრული მექანიზმების შექმნას ბენეფიციარი მესაკუთრების გამოსავლენად. ამრიგად, საინტერესო იქნება მათი სამართლებრივი ჩარჩოს და საქმიანობის მოკლე ანალიზი.

პოლიტიკის დოკუმენტი აანალიზებს ბენეფიციარ მესაკუთრებთან დაკავშირებულ პრობლემებს და მათი წარმოშობის მიზეზებს, განსაზღვრავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და საქართველოსთვის აყალიბებს შესაბამის რეკომენდაციებს. IDFI-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულება გააუმჯობესებს ბენეფიციარი მესაკუთრების მონაცემებზე წვდომას და შეამცირებს კორუფციისა და ფულის გათეთრების შემთხვევებს.

4 Enache, R., Cayman Islands, Palau, Panama and Seychelles added to the EU list of non-cooperative jurisdictions, KPMG, 2020, ხელმისაწვდომია: <https://home.kpmg/xx/en/home/insights/2020/02/etf-424-eu-blacklist-update.html>.

5 იქვე.



**ბენეფიციარი  
საკუთრების ანალიზი**



სამენარმეო საქმიანობის სუბიექტები სხვადასხვა ინდუსტრიაში არიან წარმოდგენილნი და სხვადასხვა კომერციულ საქმიანობას ასრულებენ. ქვეყნების უმეტესობას აქვთ ღია რეესტრები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება საბოლოო (ბენეფიციარი) მფლობელების შესახებ.

ქვეყნების უმეტესობას აქვს კონკურენცია ერთმანეთთან იმისათვის, რომ გაამარტივონ კომპანიის შექმნასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პროცესები და მარტივი გახადონ რეორგანიზაცია. ეს კონკურენცია ხშირად ქმნის იურიდიულ გარემოს, რომელიც მიმზიდველია ინვესტორებისთვის. ამავდროულად, ამგვარი სამართლებრივი ჩარჩოები იზიდავს ისეთ ბიზნეს ორგანიზაციებსაც, რომლებიც ახორციელებენ არალეგიტიმურ საქმიანობას და რომელთაც სურთ ჩამოაყალიბონ ახალი კომპანიები, სადაც დააბანდებენ კორუფციული გარიგებებიდან მიღებულ ფულს. მოგვიანებით, ეს კომპანიები წარმოადგენენ სხვა ქვეყნებში ფულის კანონიერი რეინვესტირების საფუძველს. ამრიგად, იურიდიულ გარემოს შეუძლია არაპირდაპირი გზით მისცეს დამნაშავეებს ფულის გათეთრებისა და სხვა ისეთი არალეგალური საქმიანობის განხორციელების ბერკეტი, როგორცაა ტერორიზმის დაფინანსება ან პირადი პასუხისმგებლობისგან თავის არიდება, რაც გავლენას ახდენს ადგილობრივ თემებზე, არღვევს შრომით უფლებებს, უარყოფითად აისახება გარემოზე და ა.შ.

FATF-ის თანახმად, „ბენეფიციარი მესაკუთრე გულისხმობს ფიზიკურ პირს (პირებს), რომლებიც საბოლოოდ ფლობენ ან აკონტროლებენ მომხმარებელს ან/და ფიზიკურ პირს, რომლის სახელითაც ტარდება ტრანზაქცია. იგი ასევე მოიცავს იმ პირებს, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს იურიდიულ პირზე ან შეთანხმებაზე“.<sup>6</sup> FATF-ის მოსაზრებებს ბენეფიციარი მესაკუთრეობის განსაზღვრის შესახებ იზიარებენ OECD და მსოფლიო ბანკი. OECD-ის რეკომენდაციით, იურისდიქციებმაც უნდა მიიღონ ბენეფიციარი მესაკუთრეობის იგივე განმარტება, როგორც ეს განსაზღვრულია FATF-ის მიერ. მსოფლიო ბანკი, ასევე, მხარს უჭერს FATF-ის განმარტებას ბენეფიციარი მესაკუთრეობის შესახებ.

წინამდებარე ნაშრომში ბენეფიციარი საკუთრების სხვადასხვა კომპონენტის ანალიზისთვის გამოყენებულია FATF-ის ზემოაღნიშნული განმარტება.

უპირველეს ყოვლისა, ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან ფიზიკური პირები. იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს ბენეფიციარი მესაკუთრე რამდენიმე მიზეზის გამო: (1) იურიდიულ პირში წარმოდგენილი არიან ფიზიკური პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ან/და აკონტროლებენ კომპანიას; (2) ეს განამტკიცებს ასეთი პირების ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. ფიზიკური პირი არის ის, ვინც აკონტროლებს სამენარმეო საქმიანობის სუბიექტს და სარგებლობს აქტივებით ან გარიგებით, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით. იურიდიულ პირს არ შეუძლია საბოლოო კონტროლი განახორციელოს კომპანიის აქტივებზე და ასეთ კონტროლს ყოველთვის ახორციელებენ ფიზიკური პირები (დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, იხილოთ Willebois, DE, et al. The Puppet Masters, 2011; FATF, Beneficial Ownership of Concementment, 2018). „ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირი ან გარიგება შეიძლება იყოს აქტივის ან გარიგების ბენეფიციარი, ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენა მოითხოვს ფიზიკური პირის (პირების) დადგენას, რომლებიც საბოლოოდ აკონტროლებენ ან სარგებელს იღებენ იურიდიული პირისგან“.<sup>7</sup>

მეორე, საკუთრების არსი განსხვავდება კონტროლისგან. განმარტება შედგება ორი განსხვავებული კატეგორიისაგან, სადაც მესაკუთრეს აქვს კონტროლის უფლება, მაგრამ საკუთრების იურიდიული უფლება მინდობილის ხელშია. მაკონტროლებლებს და დროებით მფლობელებს შორის ეს განსხვავება გადამწყვეტია საბოლოო მფლობელის პოზიციის საზგასასმელად, და განსაზღვრავს მას, როგორც ინდივიდს, რომელიც ხელმძღვანელობს შესაბამის აქტივებს. უფრო მნიშვნელოვანია იმ ფიზიკური პირის იდენტიფიცირება, რომელიც აკონტროლებს აქტივს, ვიდრე ამ აქტივის იურიდიული მფლობელის ვინაობის დადგენა. ამრიგად, ფაქტობრივი მაკონტროლებლები საბოლოო და ბენეფიციარ მფლობელად ჩაითვლებიან (დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ Willebois, D. E., et al. The Puppet Masters, 2011; FATF, Beneficial Ownership of Concement, 2018). აღსანიშნავია ისიც, რომ მინდობილი პირი, როგორც დროებითი მესაკუთრე არის მესაკუთრე ყველა მესამე პირისთვის, გარდა ბენეფიციარი მესაკუთრისა.

მესამე, ბენეფიციარი მესაკუთრეობა არ მოიცავს მხოლოდ კომპანიებს, არამედ გარიგებებსაც. აქედან გამომდინარე, საჭიროა არა მხოლოდ იმ პირების იდენტიფიცირება, რომლებიც ახორციელებენ გარიგებებს, არამედ მათი, ვინც აკონტროლებს ნდობით აღჭურვილ პირებს.

6 ATF, International Standards on Combating Money Laundering and the Financing of Terrorism & Proliferation – the FATF Recommendations, გვ. 113, 2019, ხელმისაწვდომია: <http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/recommendations/pdfs/FATF%20Recommendations%202012.pdf>.

7 FATF, Concealment of Beneficial Ownership, გვ. 16. 2018, ხელმისაწვდომია: <https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/FATF-Egmont-Concealment-beneficial-ownership.pdf>.

ბოლოს, მნიშვნელოვანია განისაზღვროს „კონტროლის“ მნიშვნელობა და ვინ შეიძლება იყოს ის, ვინც კონტროლს ახორციელებს - აქციონერი თუ მენეჯმენტი. აქციონერებს, როგორც წესი, უფრო მეტი კონტროლის განხორციელება შეუძლიათ, ვიდრე დირექტორებს, მაგრამ დირექტორებს, ასევე, აქვთ გარკვეული ძალაუფლება და ეს დამოკიდებულია ხელშეკრულებაზე კომპანიასა და მის დირექტორებს შორის, აგრეთვე წესდებასა და შინაგანანწესზე, სადაც დირექტორების მოვალეობებია განსაზღვრული. აღნიშნული საკითხების ანალიზის გარეშე შეუძლებელია საბოლოო ბენეფიციარის იდენტიფიკაცია (დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, იხილოთ Willebois, D. E., et al. *The Puppet Masters*, 2011; FATF, *Beneficial Ownership of Concement*, 2018).






**ბენეფიციარი  
საკუთრების სტრუქტურა**

როგორც წესი, ბენეფიციარი საკუთრების მაგალითები ნათლად ჩანს დახურული ტიპის საწარმოების წესდებებსა და სარეგისტრაციო განაცხადებში, რომელშიც ასახულია ინფორმაცია პარტნიორებისა და აქციონერების შესახებ. რადგან უმეტეს ქვეყნებს აქვთ ღია სამეწარმეო რეესტრები, ზოგიერთი კომპანიის მფლობელებზე წვდომა შესაძლებელია. მაგრამ მდგომარეობა მაშინ რთულდება, როდესაც მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიების მფლობელები რეგისტრირებულნი არიან შავ სიაში მოხვედრილ ოფშორულ ფინანსურ ცენტრებში.


**სცენარი N1.**

კომპანია A ეკუთვნის კომპანია B-ს, რომელიც რეგისტრირებულია სახელმწიფოში, სადაც მონაცემები საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, რომ A კომპანიის მფლობელი არის კომპანია B, შეუძლებელია B კომპანიის ნამდვილი და საბოლოო მფლობელების გარკვევა.



**სცენარი N2.**

A კომპანიის 51% ეკუთვნის B კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია ისეთ ქვეყანაში, სადაც მონაცემები საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. ცნობილია, თუ ვინ არიან კომპანიის აქციების 49%-ის მფლობელები (უმცირესობის აქციონერები), ინფორმაცია აქციონერთა უმრავლესობის შესახებ არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, შეუძლებელია იურიდიული პირის მაკონტროლებელი ბენეფიციარი პირების ზუსტად განსაზღვრა. კომპანიის დოკუმენტებზე უფრო ფართო წვდომა გაზრდის კონტროლის მექანიზმებს უმრავლესობაზე, რაც თავის მხრივ, გააუმჯობესებს უმცირესობების უფლებების დაცვას. მაგალითისთვის, *Doing Business* განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უმცირესობაში მყოფ აქციონერებს. შესაბამისად, მათი უფლებების დაცვა ძალზე მნიშვნელოვანია.<sup>8</sup>



**სცენარი N3.**

A კომპანიის 100% ეკუთვნის B კომპანიას და B კომპანიის 100% ეკუთვნის კომპანია C-ს. კომპანია C რეგისტრირებულია იმ ქვეყანაში, სადაც მონაცემები საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიცით ვინ არის კომპანია B-ს მფლობელი, ჩვენ არ ვიცით ვინ არიან კომპანიის C-ს მფლობელები, შესაბამისად, არ ვიცით ვინ არიან ბენეფიციარი მესაკუთრეები. ამ კონკრეტულ სცენარში, შეუძლებელია განვსაზღვროთ თუ ვინ წარმოადგენს ამ კორპორატიული ჯგუფის ბენეფიციარ მესაკუთრეს.



8 For more information, please, refer to the methodology of Doing Business, ხელმისაწვდომია: <https://www.doingbusiness.org/en/methodology>.



ბენეფიციარი საკუთრების სხვა მაგალითებია წარმომდგენზე ფასიანი ქაღალდები (ე.წ. Bearer Shares), რომელთა მფლობელები არ არიან გაცხადებული აქციების სერტიფიკატებზე, თუმცა ძირითადად რეგისტრირებულნი არიან კომპანიის ფასიანი ქაღალდების რეესტრში. მფლობელს არ სჭირდება ხელმოწერილი ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების გადაცემის შესახებ. ამის ნაცვლად, უბრალოდ შეიძლება სერტიფიკატი გადაეცეს მეორე მხარეს. ამიტომ სერტიფიკატის მფლობელები კომპანიის მფლობელად ითვლებიან. იმის გამო, რომ ბანკები ზღუდავენ წარმომდგენზე ფასიანი ქაღალდების გამოყენებას, სააქციო საზოგადოებებში ბენეფიციარი საკუთრების უფრო თანამედროვე ვერსიას აქციის ნომინალური მფლობელი.

ბოლოს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი მენეჯმენტი, რომელიც აკონტროლებს კომპანიას, ასევე შეიძლება იყოს ბენეფიციარი მფლობელი. სამწუხაროდ, ამ საკითხის ამოცნობა უფრო რთულია. თავდაპირველად, უნდა გაანალიზდეს კომერციული იურიდიული პირის სტრუქტურა, დადგინდეს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოების ადგილი და ფუნქციები, უნდა იქნეს შესწავლილი კომპანიის წესდება, და მენეჯმენტთან დადებული ხელშეკრულებები. ამ დოკუმენტების საფუძველზე, აგრეთვე მენეჯმენტისთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე შეიძლება გამოვლინდეს დირექტორების, როგორც ბენეფიციარი მესაკუთრების, უფლებები. შესაბამისად, დირექტორების ნამდვილი საკუთრება არ არის დამოკიდებული სარეგისტრაციო ინფორმაციაზე (გარდა იმ შემთხვევისა თუ ისინი, ასევე, არ არიან აქციონერები). დირექტორების ბენეფიციარი საკუთრების დადგენა შესაძლებელია იურიდიული პირის მთელი სისტემის ღიაობის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტი და შიდა-სამართლებრივი აქტები ხელმისაწვდომია.

დირექტორთა საბჭოს შორის ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენის შედარებით მარტივი გზა არსებობს ფონდებში. არსებითად, ფონდები არიან იურიდიული პირები, რომლებსაც არ ფლობენ აქციონერები და მათ მართავენ დირექტორები. ჩვეულებრივ, ფონდები არიან არაკომერციული ორგანიზაციები, თუმცა ზოგიერთი იურისდიქცია საშუალებას აძლევს ფონდებს განახორციელონ კომერციული საქმიანობაც. აქედან გამომდინარე, ბენეფიციარი საკუთრების კონტექსტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომერციული მიზნებისთვის შექმნილ ფონდებში.<sup>9</sup>

ბენეფიციარი საკუთრების კიდევ ერთი პოპულარული მაგალითი, ასევე, ჩანს გარიგებებში. ზემოთ განხილული FATF-ის განმარტების საფუძველზე, ტერმინი „ბენეფიციარი მესაკუთრე“ ნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელიც საბოლოოდ ფლობს ან აკონტროლებს პირს, რომლის სახელითაც ხორციელდება გარიგება. იმ კომპანიებისგან განსხვავებით, სადაც საკუთრების და კონტროლის დანახვა შესაძლებელია რეესტრში არსებული ინფორმაციის საფუძველზე (თუ რეესტრები არ მდებარეობს ოფშორულ, შავ სიაში მყოფ ქვეყნებში), უფრო რთულია კონტროლის დადგენა ტრასტში (საერთო ფინანსური სახსრებიდან ღონისძიებების დაფინანსება, სინდიცირებული სესხები კორპორატიული საბანკო საქმეში, აქტივების მართვა, ფულის ინვესტიცია და აშ.).

ტრასტში, მიმნდობი, გადასცემს ქონებას სხვა პირს (მიმნდობილ პირს, რომელიც იურიდიულად ვალდებულია იმოქმედოს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე), რომ იგი ფლობდეს ამ ქონებას მესამე პირის (ბენეფიციარის) სასარგებლოდ. ბენეფიციარი საკუთრების კონცეფცია ამ კონტექსტში უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ საკმარისი იურიდიული და ფაქტობრივი საფუძვლების დადგენის შემდეგ, კონტროლირებადი მხარის იდენტიფიკაციისთვის. სინამდვილეში, ამ სამიდან ნებისმიერ მხარეს შეუძლია გააკონტროლოს გარიგება (დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, იხილოთ Willebois, D. E., et al. Puppet Masters, 2011; FATF, Beneficial Ownership of Concealment, 2018). „საინტერესოა აღინიშნოს, რომ, ტრასტებთან მიმართებით ბენეფიციარი საკუთრების ვალდებულებების გამოყენებაზე, გამოკითხულმა შესაბამისობის მენეჯერებმა (Compliance Officers), დაადასტურეს, რომ ტრასტის ყველა სტანდარტული მხარე (მიმნდობი, მიმნდობილი და ბენეფიციარი) მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელია. აღნიშნული მარტივი შესამჩნევია: თუ ერთი ადამიანი აქტივს ნდობით გადასცემს მეორეს, ხოლო მეორე მართავს მას, და მესამე იღებს სარგებელს, ვინ არის მაშინ რეალური კონტროლის განმახორციელებელი? რომელი პირით უნდა დაინტერესდეს შესაბამისობის მენეჯერი? როდესაც მომსახურების მიმწოდებელი ურთიერთობას იწყებს სავარაუდო კლიენტთან, მან არ იცის ურთიერთობის დასაწყისში რას შეიძლება გამოხატავდეს პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ურთიერთობა. მას მხოლოდ მისი კლიენტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია გააჩნია. ამ შემთხვევაში, ყველაზე გონივრული არის ინფორმაციის შეგროვება ყველა რელევანტური მხარის შესახებ“<sup>10</sup>

9 FATF, Concealment of Beneficial Ownership, გვ. 22. 2018, ხელმისაწვდომია: <https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/FATF-Egmont-Concealment-beneficial-ownership.pdf>.

10 The Puppet Masters – How the Corrupt Use Legal Structures to Hide Stolen Assets and What to Do About It, Willebois, D. E., et al. გვ. 21, World Bank, 2011, ხელმისაწვდომია: <https://star.worldbank.org/sites/star/files/puppetmastersv1.pdf>.



**ბენეფიციარი  
საკუთრების დამალვა**



ბენეფიციარ საკუთრებასთან დაკავშირებული გამჭვირვალობის დაბალი დონის გამო, ბენეფიციარი საკუთრება ითვლება მექანიზმად, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია კრიმინალებისთვის ფულის გათეთრებისა და უკანონო საქმიანობის დასაფინანსებლად. სამართალდამცავი ორგანოებისგან ბენეფიციარი მესაკუთრების ვინაობის დამალვამ შეიძლება ხელი შეუწყოს ნარკოტიკებით ვაჭრობას, ფულის გათეთრებას, ტერორიზმის დაფინანსებას, გადასახადების თავიდან აცილებას და კორუფციას.

ამავდროულად, კომპანიები, რომელთა მფლობელები იმალებიან საზოგადოებისა და უფლებამოსილი ორგანოებისგან, ხშირად მონაწილეობენ შრომისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დარღვევაში, მაგალითად, მოპოვებით მრეწველობაში ჩართული კომპანიები შესაძლოა უარყოფით გავლენას ახდენდნენ გარემოზე და ადგილობრივ თემებზე. ამავე დროს, მთავრობების მიერ დაწესებული ზომების ან ჯარიმების მეშვეობით ბენეფიციარი მესაკუთრის დასჯა თითქმის შეუძლებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი ვინაობა დადგენილია.

FATF-ისა და სხვა საერთაშორისო აქტორების დოკუმენტების თანახმად, კრიმინალების მიერ გამოყენებული ძირითადი ტექნიკა შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: (1) საკუთრების და კონტროლის რთული სტრუქტურების დაფუძნება; (2) ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ბენეფიციარ მესაკუთრესა და მის აქტივებს შორის ფარული ურთიერთობის ხელშესაწყობად; (3) სხვა თაღლითური საქმიანობა, როგორცაა ყალბი სესხები.

კრიმინალების მიერ, აქტივებისა და გარიგებათა რეალური მფლობელების დაფარვის მიზნით, გამოყენებული მრავალი მექანიზმი, განხილულია FATF-ის წინა კვლევებში, მათ შორის 2014 წლის FATF გზამკვლევაში გამჭვირვალობისა და ბენეფიციარი საკუთრების შესახებ (FATF Guidance on Transparency and Beneficial Ownership). „FATF-ის აღნიშნული სახელმძღვანელოს თანახმად, ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინფორმაცია ჩვეულებრივ იმალება:

- ჰოლდინგურ კომპანიებში, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საკუთრება მრავალ იურისდიქციაშია გაფანტული;
- საკუთრებისა და კონტროლის რთულ სტრუქტურებში;
- წარმომადგენზე ფასიან ქალაქებში;
- იურიდიული პირების სხვა კომპანიების დირექტორებად შეუზღუდავ ნომინირებაში;
- ნომინალურ აქციონერებსა და დირექტორებში, სადაც მარწმუნებლის ვინაობა არაა გამხელელი;
- ისეთ (არაფორმალურ) ნომინალურ აქციონერებსა და დირექტორებში, როგორცაა ახლო მოკავშირეები და ოჯახის წევრები;
- ტრასტსა და სხვა გარიგებებში, რომლებიც საშუალებას იძლევა ერთმანეთისგან გაიყოს საკუთრების იურიდიული ტიტული და აქტივების საბოლოო საკუთრება;
- შუამავლების მეშვეობით იურიდიული პირების ფორმირებაში”<sup>11</sup>

**150 განსაკუთრებით დიდი კორუფციული შემთხვევის ანალიზი აჩვენებს, რომ ძირითადი მექანიზმი, რომელიც გამოიყენება საკუთრების დამალვაში, არის კომპანია.<sup>12</sup>**

11 FATF, Concealment of Beneficial Ownership, გვ. 25, 2018, ხელმისაწვდომია: <https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/FATF-Egmont-Concealment-beneficial-ownership.pdf>.

12 იქვე, გვ. 20.



**სახელმწიფოებისა და საერთაშორისო  
აქტორების მიერ გამოყენებული  
სამართლებრივი საშუალებები**



სხვადასხვა სახელმწიფომ და საერთაშორისო მოქმედმა პირებმა მიიღეს მთელი რიგი ზომები ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის გასაზრდელად, ბენეფიციარ საკუთრებასთან დაკავშირებული უკანონო საქმიანობის მოსაგვარებლად და კომპანიებისა და გარიგებების რაოდენობის გასაზრდელად, რომელშიც სრულიად ვლინდება ბენეფიციარი მესაკუთრების იდენტობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ზომების უმეტესობა პრევენციულ მიზნებს ემსახურება. მაღალი რისკია, რომ შეუძლებელი იქნება ბენეფიციარი მესაკუთრებით დაფარული უკანონო ქმედებების იდენტიფიცირება. ამის მიუხედავად, იურიდიული ზომების განხორციელება მნიშვნელოვნად მიიჩნევა უკანონო ქმედებების პრევენციისა ან/და იდენტიფიცირებისთვის.

პოლიტიკის დოკუმენტის ამ ნაწილში წარმოდგენილია ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური პრევენციული ზომები, რომელიც მიზნად ისახავს ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის გაზრდას, ლეგალური მექანიზმებით განხორციელებული უკანონო ქმედებების შემცირებას და ბენეფიციარი საკუთრების მექანიზმების ბოროტად გამოყენების აღმოფხვრას.

აღსანიშნავია რომ უმნიშვნელოვანესი მოთამაშე ბენეფიციარ მესაკუთრებთან წინააღმდეგ ბრძოლაში არის FATF. ამავდროულად, არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო მოთამაშეები, რომელთა მეთოდები და ძალისხმევა საჭიროებს სიღრმისეულ ანალიზსა და შეფასებას.

ამავდროულად, რამდენიმე ქვეყანამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად განახორციელა წარმატებული კამპანიები ბენეფიციარი მესაკუთრების დამალვის აღმოსაფხვრელად, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მათი ძალისხმევის განხილვა.

პრევენციული ზომების შესახებ ინფორმაცია შეიძლება დაიყოს რამდენიმე კატეგორიად.

## ელექტრონული მექანიზმები

ვინაიდან გარიგების უმრავლესობა ინტერნეტით სრულდება, ფინანსურმა ინსტიტუტებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა დაიწყეს ამ ოპერაციებში მონაწილე მხარეების ინტერნეტ პროტოკოლის (IP) მისამართების შეგროვება და ანალიზი. „მოსალოდნელია, რომ IP მისამართის სწორი ანალიზით დადგინდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც კონტროლს ახორციელებს უცნობი მესამე მხარე, ან კონტროლი გადადის ერთი ადამიანიდან მეორეზე, ან შიდა ანგარიშის კონტროლი ხორციელდება გარეშე ზემოქმედებით, ან ადამიანი ცდილობს დამალოს თავისი IP ვირტუალური კერძო ქსელის (VPN) გამოყენებით“<sup>13</sup> განმეორებითი IP მისამართების დაფიქსირებამ შეიძლება აღმოაჩინოს მრავალი ანგარიშისა და შუამავლების ჩართულობა, რომელზეც საჭიროა დეტალური დაკვირვება. მაგალითად, თუ ვინმე აცხადებს, რომ კონკრეტული ქვეყნის ბენეფიციარი მფლობელია, მისი IP მისამართი არ უნდა მოდიოდეს სხვა ქვეყნიდან. ამავდროულად, არსებობს ელექტრონული პროგრამების, მაგალითად, საბანკო მომსახურების გამოყენების სხვადასხვა საშუალებები, რომლებიც ემყარება მომხმარებლის ციფრულ პირადობას ან ციფრული თითის ანაბეჭდის იდენტიფიცირებას, ან კიდევ უფრო მონინავე ტექნოლოგიებს (დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ FATF, Concealment of Beneficial Ownership, 2018; Knobel, A., Beneficial Ownership Verification: Ensuring the Truthfulness and Accuracy of Registered Ownership Information, 2019).

მომხმარებლებისა და კლიენტების მიერ მოწოდებული მისამართების გადამოწმება და შემდგომი ანალიზი შეიძლება გაკეთდეს ონლაინ რუკებისა და ფოტოების გამოყენებით. „მომხმარებლის ან კომპანიის მიერ მოწოდებული მისამართის, ასევე, ქუჩიდან ამ მისამართის ფიზიკური გარეგნობის (სადაც გამოსახულებებია შესაძლებელი) ანალიზის საშუალებით, ხშირად შესაძლებელია განისაზღვროს ანომალიები, რომლებიც მიუთითებს ჰოლდინგური კომპანიის არსებობას ან მომხმარებლის ნამდვილი ვინაობის დამალვის მცდელობას. ანომალიები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ გარემოებებს: ადგილმდებარეობა არ შეესაბამება მომხმარებლის ფინანსურ პროფილს; ადგილმდებარეობა შეუსაბამოა კომპანიის ბიზნეს პროფილთან; მისამართის ფიზიკური გარეგნობა არ შეესაბამება კომპანიის ზომასა და ბუნებას; მისამართი არის საფოსტო ყუთი“<sup>14</sup>

13 FATF, Concealment of Beneficial Ownership, გვ. 177, 2018, ხელმისაწვდომია: <https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/FATF-Egmont-Concealment-beneficial-ownership.pdf>.

14 იქვე.

ბენეფიციარ საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემების პრევენციის მნიშვნელოვანი ასპექტი არის ბენეფიციარი მესაკუთრეების საჯარო რეესტრის შექმნა. ეს არის უნიკალური სახის რეესტრი, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას კომპანიებთან დაკავშირებით. ბევრმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, მათ შორის OGP-მა, რეკომენდაცია გაუკეთეს ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრების შექმნას. ამასთან, ამ რეესტრში უნდა გაერთიანდეს ინფორმაცია საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიების შესახებ. ამიტომ, ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ძალზე მნიშვნელოვანია. ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნა ნიშნავს იურიდიულ მექანიზმებთან დაკავშირებით ყველა სათანადო მონაცემის (საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომრები, საბანკო ანგარიშის ნომრები და ინფორმაცია პარტნიორების, მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოების შესახებ) შეგროვებას, რაც ხელს შეუწყობს ბენეფიციარი მფლობელების შესახებ ინფორმაციის გადამოწმებას. ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს (დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ Knobel, Beneficial Ownership Verification: Ensuring the Truthfulness and Accuracy of the Registered Ownership Information, 2019).

OECD ხაზს უსვამს კომპანიების ცენტრალიზებული რეესტრის შექმნის მნიშვნელობას, სადაც ინფორმაცია დროულად იქნება მოწოდებული და განახლებული. ამავე დროს, OECD განსაზღვრავს რიგ გამოწვევებს, როგორცაა: ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გადამოწმების გზები; ინფორმაციის სიზუსტისა და სანდოობის დადგენა; მხარეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ასეთი ინფორმაციის დროულად მიწოდებაზე და სანქციები, რაც უნდა მოჰყვეს ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობას; სანქციების ეფექტურობა და აშ. OECD აღნიშნავს საგადასახადო ორგანოების, იურისტების, ნოტარიუსებისა და ფინანსური ინსტიტუტების მნიშვნელობას, რომლებიც AML-ის (Anti Money Laundering) ჩარჩოებში ვალდებულები არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბენეფიციარი საკუთრების შესახებ მონაცემთა შეგროვებაში (დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ OECD, A Beneficial Ownership Implementation Toolkit, 2019).

OGP-ის ვალდებულებების ფარგლებში, გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ შემოიღო ბენეფიციარი მესაკუთრეების საჯარო რეესტრი. რეესტრის მიზანია საერთაშორისო კომპანიებში კორუფციისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრობლემის დაძლევა. „კომპანიები ვალდებულნი არიან 2016 წლის აპრილიდან შეიტანონ ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია კომპანიების რეესტრში, Companies House. ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინფორმაციის გაგზავნისთვის საჭიროა საკუთრების ან კონტროლის განხორციელების 25%-იანი ნიშნულის არსებობა კომპანიაში. გაერთიანებული სამეფო, ასევე, გეგმავს ახალი რეესტრის შექმნას უცხოური კომპანიებისთვის, რომლებიც ფლობენ საკუთრებას გაერთიანებულ სამეფოში“<sup>15</sup> ზემოხსენებული ბენეფიციარი მესაკუთრეების საჯარო რეესტრს <https://beta.companieshouse.gov.uk/> 20,000 ნახვა აქვს დღის განმავლობაში.<sup>16</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბენეფიციარი მესაკუთრეების მიზნებისათვის, გაერთიანებული სამეფოს სტანდარტი 25%-ზე ნაკლები წილის ფლობას არ მიიჩნევს საკუთრების მაკონტროლებელ ოდენობად. ასეთი სტანდარტის დანესება შეიძლება არ იყოს გამართლებული, რადგან 25%-ზე ნაკლები წილის ფლობა შეიძლება დაკავშირებული იყოს სპეციალური პრივილეგიების მქონე ე.წ. „ოქროს წილთან“, რისი საშუალებითაც შესაძლოა ეფექტური კონტროლი განხორციელდეს კომპანიაზე.

საკუთრების ზემოთ ხსენებული ბარიერის გარდა, გაერთიანებული სამეფოს ბენეფიციარი მესაკუთრეების საჯარო რეესტრს აქვს სხვა ფუნქციებიც, რომელთა შესწავლა შეუძლიათ დაინტერესებულ მხარეებს; მაგალითად, შეუძლიათ იხილონ კომპანიის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, წარდგენილი დოკუმენტაციის ისტორია, ინფორმაცია მენეჯერების ან/და მნიშვნელოვანი კონტროლის მქონე პირების შესახებ, ბრალდებები/სანქციები, გადახდისუნარობის ამსახველი ინფორმაცია.<sup>17</sup>

15 Knobel, A. Beneficial Ownership Verification: Ensuring the Truthfulness and Accuracy of Registered Ownership Information, გვ. 26, 2019, ხელმისაწვდომია: <https://adamsmithinternational.com/app/uploads/2019/07/Towards-a-Global-Norm-of-Beneficial-Ownership-Transparency-Phase-2-Paper-March-2019.pdf>.

16 OGP, Beneficial Ownership, <https://www.opengovpartnership.org/policy-area/beneficial-ownership/>.

17 Companies House, <https://beta.companieshouse.gov.uk/>.



**For Information:** Following the government's response to the corporate transparency and register reform consultation, we've stopped removing dissolved records from CHS with immediate effect. We'll also put additional dissolved records (all companies dissolved since 2010) back on to CHS from January 2021.

## Search the register

Enter company name, number or officer name

Start here...



Search for a company or officer



# FORTNUM REALTY LIMITED

Company number **11886326**

Follow this company

Overview

Filing history

People

More

Registered office address

**88 Lichfield Grove, C/O Nccs Associates Limited, London, England, N3 2JN**

Company status

**Dissolved**

Dissolved on

**10 September 2019**

დანიტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ დარეგისტრირდნენ და თვალი მიადევნონ კომპანიის აქტივობებს, და მიიღონ განახლებული ინფორმაცია.

# FORTNUM REALTY LIMITED

Company number 11886326

Follow this company

Overview

Filing history

People

More

## Filter by category

Show filing type

Accounts

Confirmation statements / Annual returns

Capital

Incorporation

Charges

Officers

Date	Description	View / Download
10 Sep 2019	<b>Final Gazette</b> dissolved via voluntary strike-off	<a href="#">View PDF</a> (1 page)
25 Jun 2019	<b>First Gazette</b> notice for voluntary strike-off	<a href="#">View PDF</a> (1 page)
18 Jun 2019	<b>Application to strike the company off the register</b>	<a href="#">View PDF</a> (1 page)
10 Jun 2019	<b>Termination of appointment</b> of David Kezerashvili as a director on 10 June 2019	<a href="#">View PDF</a> (1 page)
03 Apr 2019	<b>Appointment</b> of Mr David Kezerashvili as a director on 3 April 2019	<a href="#">View PDF</a> (2 pages)
21 Mar 2019	<b>Change</b> of details for Mr David Noel Kezerashvili as a person with significant control on 18 March 2019	<a href="#">View PDF</a> (2 pages)

# FORTNUM REALTY LIMITED

Company number 11886326

Follow this company

Overview

Filing history

People

More

Officers

Persons with significant control

## 1 person with significant control / 0 statements

### Mr David Kezerashvili

Correspondence address

88 Lichfield Grove, C/O Nccs Associates Limited, London, England, N3 2JN

Notified on

18 March 2019

Date of birth

September 1978

Nationality

Georgian

Nature of control


Ownership of shares – 75% or more as a member of a firm

Country of residence

England



**უკრაინა** გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც 2015 წლის სექტემბრიდან სავალდებულო გახდა ინფორმაციის წარდგენა ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ყველა კომპანიისთვის. ინფორმაცია უნდა დაერთოს კომპანიის რეგისტრაციის ნაწილს ერთიან სახელმწიფო რეესტრში. ეს მოთხოვნები, ასევე, იმოქმედებს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც უკვე დარეგისტრირებულნი იყვნენ, სანამ ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდებოდა. უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, ბენეფიციარი მესაკუთრეა ფიზიკური პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, დამოუკიდებლად ან სხვა ფიზიკურ პირებთან ერთად ფლობს წილის ან ხმის უფლების მინიმუმ 25%-ს, პირდაპირ ან არაპირდაპირი გზით ახორციელებს საბოლოო კონტროლს მენეჯმენტზე ან ბიზნეს საქმიანობაზე, ან აკონტროლებს კომპანიის მიერ ხელშეკრულებების დადებას, ან უფლება აქვს გასცეს სავალდებულო მითითებები ან შეასრულოს მმართველი ორგანოს ფუნქციები. უკრაინის ერთიანი სახელმწიფო რეესტრი ცდილობს სხვადასხვა მონაცემების შეგროვებით დაადგინოს ბენეფიციარი მესაკუთრეები, როგორცაა სახელი, გვარი, მამის სახელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილი, პირადობის და პასპორტის ნომრები და ა.შ. უკრაინის მოქმედი კანონმდებლობით (მუხლი 64.1. უკრაინის ეკონომიკური კოდექსი), საწარმოებს მოეთხოვებათ დაადგინონ ვინ არიან მათი ბენეფიციარი მფლობელები. ამის შეუსრულებლობა გამოიწვევს როგორც დაჯარიმებას, ასევე ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარი მფლობელების შესახებ ინფორმაციის წარდგენა სავალდებულოა, კომპანიები ან არ აწვდიან ამ ინფორმაციას, ან წარდგენილ ინფორმაციას აქვს უზუსტობები. ამავდროულად, არიან კომპანიები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი სახელმწიფო რეესტრში მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენენ გადასახადის გადამხდელებს. (დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ Global Forum on Asset Recovery, Ukraine, 2017; Kozlovtsava, 2019; What is Inside Ukrainian Business Register, OSF).<sup>18</sup>



კომპანიის რეესტრები სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. მათ შეუძლიათ შექმნან სტატისტიკური მონაცემები, გაუადვილონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოებას, მაგრამ რაც მთავარია, მათ ხელი უნდა შეუწყონ სანდოობის პრინციპს, რადგან ინვესტორებს და ფართო საზოგადოებას უნდა ჰქონდეთ საჯარო რეესტრებში დაცულ ინფორმაციის მიმართ ნდობა.

ამავე დროს, არსებობს სხვადასხვა რეესტრები ან საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითები, რომლებიც ავრცელებენ ინფორმაციას კომპანიების რეესტრების შესახებ ეროვნულ და გლობალურ დონეზე. მაგალითად, ევროპის ბიზნეს რეესტრის ასოციაცია (European Business Registry Association) და კორპორატიული რეესტრების ფორუმი (Corporate Registers Forum). ასეთი თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გამოცდილების, ცოდნისა და შესაბამისი ინფორმაციის ეფექტური გაცვლისთვის.<sup>19</sup>

18 European Business Registry Association, ხელმისაწვდომია: <https://ebra.be/the-international-business-registers-report-2018/>.  
 19 European Business Registry Association, ხელმისაწვდომია: <https://ebra.be/information-distributors/>.

Information Distributors

The following information distributors provide direct online access to company information in the EBR network.

To search European business information on EBRA please choose one of our sanctioned distributors by clicking on the distributor name.

Base Country	Distributing Members	Supported Languages	Website Currency
Austria	<a href="#">Manz</a>	German	EUR
Estonia	<a href="#">Centre of Registers and Information Systems</a>	Estonian, English	EUR
Germany	<a href="#">Bundesanzeiger</a>	German	EUR
Italy	<a href="#">InfoCamere</a>	Italian	EUR

ეს რეესტრები საშუალებას იძლევა დაზუსტდეს ინფორმაცია სხვადასხვა წყაროების გამოყენებით. სამწუხაროდ, მათი უმეტესობა არ არის უფასო და დაწესებული აქვთ წვდომის საფასური.<sup>20</sup>

info Dienste MANZ

FB GB EXDA GISA eAE ZMR EBRA KSV KV IMMO SIMPLEX My queries

**MANZ info services**

bundles the various applications for inspection of the public register services (commercial register, land register, etc.) as well as access to economic databases (e.g. KSV1870).

- FB - Commercial Register
- GB - land register
- EXDA - Execution Data
- GISA - GewerbeInformationsSystem Austria (trade register)
- eAe - electronic file inspection
- ZMR - Central Resident Register
- EWC - European Business Register
- KSV - Credit Protection Association 1870
- KVSystem - collective agreement database
- IMMO - ImmonetZT
- SIMPLEX - SimpLEX Docs

**Hotline**

Tel: +43 1 531 61 11  
E-Mail: [hotline@manz.at](mailto:hotline@manz.at)

**Order - forms**

**MANZ infoService:**

- > Order form
- > Terms and conditions
- > Remuneration provisions
- > Service description
- > Create user (existing customers )

## ზედახედველობა სამოქალაქო საზოგადოების მიერ

მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ პოტენციურად უკანონო ქმედებების გამოვლენაში. ისინი ხშირად ამზადებენ საგამოძიებო ანალიზს და ამჟღავნებენ ფულის გათეთრების, კორუფციისა და გადასახადებისგან თავის არიდების შემთხვევებს. ამავე დროს, მედიის ყველა წყარო სანდო არ არის, განსაკუთრებით, ყალბი ახალი ამბების ზრდის ფონზე. მიუხედავად ამისა, არსებობს მრავალი საერთაშორისო ჟურნალისტური ქსელი, რომლის ნდობაც შეიძლება. ბოლო წლებში ჟურნალისტთა გლობალურმა კონსორციუმმა, მაგალითად, გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმმა (International Consortium of Investigative Journalists), ფართო მასშტაბით გამოიძიეს კორუფციის, გადასახადების თავიდან აცილებისა და ფულის გათეთრების საკითხები. გამოძიებამ გამოაქვეყნა ორი მნიშვნელოვანი შემთხვევა, როდესაც გამოქვეყნდა დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა იურიდიული ფირმების მიერ დაბალი გადასახადების იურისდიქციებში რთული კორპორაციული სტრუქტურებისა და კომპანიების შექმნას

20 Info Dienste, ხელმისაწვდომია: <https://dienste.manz.at/vst/fb/fb.jsf>.



მდიდარი პირების სახელით. მიუხედავად იმისა, რომ გაუონილი დოკუმენტები არ წარმოადგენდნენ კრიმინალის ან დანაშაულის მტკიცებულებას, ისინი შეიძლება მიანიშნებდეს შესაძლო რისკზე და რისკის ანალიზის პერსპექტივიდან საჭიროა მათი გათვალისწინება”.<sup>21</sup>

## სახელმწიფო სააგენტოები

ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის დადგენის ტრადიციული საშუალებაა დანესებულებები, რომლებიც ებრძვიან ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებას. ტრანზაქციები, რომლებიც ხორციელდება ოფშორულ ტერიტორიებზე რეგისტრირებული კომპანიების მიერ, ავტომატურად მიიჩნევა საეჭვოდ და შესაბამისად, აუცილებელია მონიტორინგისა და გამოკვლევების ჩატარება მათი ხასიათის, მიზნებისა და მონაწილე მხარეების დასადგენად. უწყებათაშორისი ჯგუფები და საბჭოები, ასევე, შეიძლება ეფექტური აღმოჩნდნენ ბენეფიციარი მესაკუთრის საქმიანობის მოგვარებაში. მაგალითად, „შვეიცარიამ ჩამოაყალიბა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობის აღკვეთის (AML/CFT) თაობაზე თანამშრომლობისა და კოორდინაციის ეროვნული ჩარჩო, რომელსაც ხელმძღვანელობს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფი (GCBF). ყველა კომპეტენტური ორგანო რეგულარულად მონაწილეობს ამ ჯგუფის მუშაობაში. ჯგუფი პასუხისმგებელია ქვეყანაში არსებული რისკების მუდმივ იდენტიფიცირებაზე. MROS (FIU)<sup>22</sup> ხელმძღვანელობით, არსებობს სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც უძღვება რისკების ანალიზს. GCBF, მაღალი დონის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ, გვთავაზობს ზომებს გამოვლენილი რისკების აღმოსაფხვრელად. GCBF-ის საქმიანობის შედეგები ყოველწლიურად წარედგინება შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს (Swiss Federal Council) ინფორმაციის მისაღებად ან შემდგომი ზომების გასატარებლად”.<sup>23</sup>

ზემოთ ნახსენები ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი წარმოადგენს სახელმწიფოს ძალისხმევას ბენეფიციარი საკუთრების სტრუქტურების გამჭვირვალობასთან მიმართებაში. ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის დაარსება, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტოების შექმნასთან ერთად, კომპანიის საკუთრების გამჭვირვალობისა და კონტროლის გარანტიას წარმოადგენს. ბენეფიციარი მესაკუთრეების საჯარო რეესტრისა და უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოების შექმნით, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ერთობლივმა ძალისხმევამ შეიძლება დადებითი გავლენა იქონიოს სამართლებრივი მოთხოვნების თავიდან აცილებისა და გაუმჭვირვალობის პრობლემების მოგვარებაში.

## ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობა გარიგებაებში

ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარიგებებში - ტრასტებში. უმეტეს სახელმწიფოებში, კომპანიების რეგისტრაცია სავალდებულოა, რაც მეტნაკლებად შესაძლებელს ხდის შემდგომი ანალიზის ჩატარებას და კომპანიის საბოლოო მფლობელების დასადგენად საჭირო მინიშნებების გამოვლენას. მაგრამ მდგომარეობა მნიშვნელოვნად რთულია იმ სამართლებრივ გარიგებებთან დაკავშირებით, რომელთა რეგისტრაცია უმეტეს შემთხვევაში საჭირო არ არის. „ქვეყნებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ არ მოხდეს გარიგებების გამოყენება ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსებისთვის. კერძოდ, ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ ადეკვატური, ზუსტი და დროული ინფორმაციის გამოქვეყნება ტრასტების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია მიმნდობის, მინდობილისა და ბენეფიციარების შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა უნდა ჰქონდეს კომპეტენტურ ორგანოებს“.<sup>24</sup>

21 FATF, Concealment of Beneficial Ownership, გვ. 177, 2018, ხელმისაწვდომია: <https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/FATF-Egmont-Concealment-beneficial-ownership.pdf>.

22 იგულისხმება Financial Intelligence Unit (FIU) of Money Laundering Reporting Office Switzerland.

23 FATF, Best Practices on Beneficial Ownership for Legal Persons, გვ. 30, 2019, ხელმისაწვდომია: <https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/Best-Practices-Beneficial-Ownership-Legal-Persons.pdf>.

24 FATF, Guidance - Transparency and Beneficial Ownership, გვ. 10, 2014, ხელმისაწვდომია: <http://www.fatf-gafi.org/media/fatf/>

FATF-ის რეკომენდაციების თანახმად, მიმდობებმა, მინდობილებმა, *პროტექტორებმა* (*protector - მიმდობის მიეხ დასახელებული პიჩი*) და ბენეფიციარმა მესაკუთრეებმა უნდა გაამჟღავნონ საკუთარი სტატუსი და ვინაობა. მინდობილმა პირებმა უნდა გამოავლინონ საკუთარი ვინაობა იქამდე, სანამ მიიღებენ უფლებამოსილი ორგანოსგან შესაბამის მოთხოვნას ღიაობასთან დაკავშირებით.

## ვალდებულებები OGP- ისა და EITI- ს ფარგლებში

არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო პლატფორმები, სადაც ქვეყნები ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებებს. ეს ვალდებულებები უკავშირდება სხვადასხვა საკითხს, მათ შორის: მოქალაქეთა ჩართულობას, გამჭვირვალობას, სახელმწიფო ორგანიზაციების ეფექტიანობასა და ანგარიშვალდებულებას. ასეთ პლატფორმებს შორის OGP და EITI ყველაზე მნიშვნელოვანი და პრესტიჟულია. OGP-ის ფარგლებში, 23-მა ქვეყანამ სამოქმედო გეგმებში გაითვალისწინა ვალდებულებები ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.<sup>25</sup>

კერძოდ, ისეთმა ქვეყნებმა, როგორცაა არგენტინა, ნიგერია, სომხეთი და ფილიპინები, აიღეს ვალდებულებები, დანერგონ ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის პოლიტიკა და ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნის გზით, უზრუნველყონ კომპანიის საბოლოო მფლობელების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა.

OGP-ისა და EITI-ს ფარგლებში ბენეფიციარ საკუთრებასთან დაკავშირებული ვალდებულებები იწვევს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, დადებითად მოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე და კორუფციის შემცირებაზე. „მონაწილეები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, უკანონო ფინანსური ნაკადების შემცირებისა და ბიზნეს გარემოში კეთილსინდისიერების განმტკიცებაში, თუმცა ასეთი ინფორმაციის გამჭვირვალობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სასარგებლო, თუ ინფორმაცია გამოყენებულია კორუფციასთან საბრძოლველად. ეს ასევე, ხაზგასმით აღინიშნა EITI-ს გლობალური კონფერენციის კიდევ ერთ სხდომაზე, სადაც გამოცდილი დაინტერესებული მხარეების (*სტეიკჰოლდერების*) პანელმა განიხილა ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის გამოყენების წარმატებული შემთხვევები კორუფციის აღკვეთასთან და მოპოვებითი სექტორის მმართველობის განმტკიცებასთან დაკავშირებით“.<sup>26</sup>

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა კიდევ უფრო მჭიდრო კავშირშია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან. პოსტსოციალისტური მთავრობები ცდილობენ გადალახონ საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული კორუმპირებული ბიუროკრატიული მენტალიტეტი.

**სომხეთის რესპუბლიკა**, 2018 წელს ხავერდოვანი რევილუციის შემდეგ, დაიწყო რეგულაციების განხორციელება, რომელიც მხარს უჭერს ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობას და კორუფციის წინააღმდეგ უფრო თამამი ნაბიჯები გადადგა. 2018-2020 წლების სომხეთის OGP-ის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს ბენეფიციარი მესაკუთრეების ღია რეესტრის შექმნას. აღებული ვალდებულების ძირითადი მიზანია კორუფციული დანაშაულებისათვის საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენების პრევენცია. ვალდებულება მოიაზრებს, რომ საბოლოო მესაკუთრეთა გამჭვირვალობა გაზრდის მოქალაქეთა ცნობიერებას, რის შედეგადაც ისინი ჩაერთვებიან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს, აღნიშნული ვალდებულების თანახმად, ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობა გააუმჯობესებს გადასახადების შეგროვების პროცესს.<sup>27</sup> სომხეთმა, ასევე, მიიღო სხვა ზომები, როგორცაა სომხეთის მთავრობის მიერ *OpenOwnership*-თან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, რომელიც სომხეთს ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის საკითხებში.<sup>28</sup> გარდა ამისა, EITI-ს მოთხოვნით, სომხეთმა გამოაქვეყნა ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის ღიაობის სამოქმედო გეგმა (*Beneficial Ownership*

[documents/reports/Guidance-transparency-beneficial-ownership.pdf](https://documents/reports/Guidance-transparency-beneficial-ownership.pdf).

25 Transparency International, Recommendations on Beneficial Ownership for OGP Action Plans, 2019, გვ. 3, ხელმისაწვდომია: <https://images.transparencycdn.org/images/Rec-on-Beneficial-Ownership-Transparency-for-OGP-action-plans-FINAL.pdf>.

26 Treisman, I., and Greene, C., From the “Why” to the “How”: Working with EITI and OGP, 2019, ხელმისაწვდომია: <https://www.openownership.org/news/from-the-why-to-the-how-working-with-eiti/>.

27 Armenia Action Plan 2018-2020, ხელმისაწვდომია: <https://www.opengovpartnership.org/members/armenia/commitments/AM0037/>.

28 ხელმისაწვდომია: <https://www.openownership.org/news/armenia-signs-mou-with-openownership/>.



Disclosure Roadmap), რომელიც ავტომატურად განიხილავს „პოლიტიკურად აქტიურ პირებს“ ბენეფიციარ მესაკუთრეებად, საკუთრების წილის მიუხედავად.<sup>29</sup>

**სლოვაკეთის რესპუბლიკა**, რამდენიმე სხვა სახელმწიფოსთან ერთად, გაერთიანებული სამეფოსა და Open Ownership-ის მხარდაჭერით დააფუძნა ბენეფიციარი საკუთრების ღიაობის ლიდერების ჯგუფი (Beneficial Ownership Leadership Group), რომლის მიზანია, თავისუფალი და ღია მონაცემების ბაზის შექმნა ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ.<sup>30</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სლოვაკეთის რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც დაიწყო ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტების დამკვიდრება. სლოვაკეთის ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი, სადაც ათასობით კომპანია და ფიზიკური პირია იდენტიფიცირებული, 2015 წელს შეიქმნა.<sup>31</sup> სლოვაკეთის რესპუბლიკის 2020-2021 წლების OGP-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის მე-4 ვალდებულება მიზნად ისახავს იურიდიული პირების, მენარმეებისა და სახელმწიფო ორგანოების რეესტრში ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ მონაცემების სრულად გამოქვეყნებას.<sup>32</sup>

ბენეფიციარი მესაკუთრეების მონაცემთა გამჭვირვალობის შემდგომი მხარდაჭერის მიზნით, სლოვაკეთის რესპუბლიკამ მხარი დაუჭირა ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის შესახებ პრინციპებთან თანხვედრის დეკლარაციას (Declaration of National Commitment to Meet the Beneficial Ownership Transparency Disclosure Principles). აღნიშნული დეკლარაცია აჩვენებს, რომ იზრდება ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის მნიშვნელობა. ხელმომწერი ქვეყნები მიზნად ისახავენ ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის ახალი გლობალური სტანდარტის დამკვიდრებას. დროთა განმავლობაში ბენეფიციარი საკუთრების მეტი გამჭვირვალობა, ხელს შეუწყობს ქონების დანაშაულებრივი მიზნებისთვის გამოყენების შემცირებას. ხელმომწერი ქვეყნები მიზნად ისახავენ 2023 წლამდე დაამკვიდრონ ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის გამჟღავნების პრინციპები, დანიშნონ მაღალი თანამდებობის პირი და შექმნან სააგენტო, რომელიც უხელმძღვანელებს ბენეფიციარი საკუთრების რეესტრის დაფუძნებას და შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც განსაზღვრავს რეესტრის შექმნისთვის საჭირო ნაბიჯებს.<sup>33</sup>

**კენიის რესპუბლიკა** OGP-ის წევრ ქვეყნებს შორისაა, რომლისთვისაც პრიორიტეტს ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნა წარმოადგენს. 2018-2020 წლების კენიის OGP-ის მე-3 ეროვნული სამოქმედო გეგმის მიზანია შექმნას ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი და საფუძველი ჩაუყაროს მის ეფექტურ ფუნქციონირებას.<sup>34</sup> კერძოდ, კენიის სახელმწიფო მიზნად ისახავს რეგულაციების შემუშავებას, რომელსაც ექნება მარეგულირებელი ფუნქცია და შექმნის ბენეფიციარი საკუთრების შესახებ კანონმდებლობის იურიდიულ საფუძველს, შეიმუშავებს ღია, ხელმისაწვდომ და მანქანა-კითხვად ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრს, ბენეფიციარი საკუთრების სტანდარტების შესაბამისად და შექმნის ცენტრალური რეესტრს უცხოური და ადგილობრივ კომპანიებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ტენდერებში და ყიდულობენ ქონებას. კენია, ასევე, არის ბენეფიციარი საკუთრების ღიაობის ლიდერების ჯგუფის წევრი.<sup>35</sup>

**ლატვიის რესპუბლიკა** ბენეფიციარი საკუთრების ღიაობის ლიდერების ჯგუფის წევრებს შორისაა. ლატვიის ეროვნული სამოქმედო გეგმის 2017-2019 წლების მიზანია ლატვიური კომპანიების ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.<sup>36</sup> „ვალდებულების მიზანია კერძო საწარმოების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ბენეფიციარ საკუთრებასთან დაკავშირებით. იგი ითვალისწინებს ახალი ელექტრონული რეესტრის ვებგვერდის შექმნას და არსებული ინფორმაციის ძიების გაუმჯობესებას.

29 EITI, Beneficial Ownership Disclosure Roadmap of the Republic of Armenia, 2018, გვ. 2, ხელმისაწვდომია: [https://eiti.org/files/documents/bo\\_roadmap\\_draft\\_en.pdf](https://eiti.org/files/documents/bo_roadmap_draft_en.pdf).

30 Transparency International, Recommendations on Beneficial Ownership for OGP Action Plans, 2019, გვ. 3, ხელმისაწვდომია: <https://images.transparencycdn.org/images/Rec-on-Beneficial-Ownership-Transparency-for-OGP-action-plans-FINAL.pdf>.

31 Register of Public Sector Partners, ხელმისაწვდომია: <https://rpvs.gov.sk/rpvs/>.

32 OGP National Action Plan of the Slovak Republic 2020-2021, 2019, გვ. 10-12, ხელმისაწვდომია: [https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2019/12/Slovakia\\_Action-Plan\\_2019-2021\\_EN.pdf](https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2019/12/Slovakia_Action-Plan_2019-2021_EN.pdf).

33 Declaration of National Commitment to Meet the Beneficial Ownership Transparency Disclosure Principles, ხელმისაწვდომია: <https://www.openownership.org/uploads/oo-disclosure-principles.pdf>.

34 Kenya OGP 3<sup>rd</sup> National Action Plan 2018-2020, ხელმისაწვდომია: [https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2018/12/KENYA\\_Action-Plan\\_2018-2020\\_0.pdf](https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2018/12/KENYA_Action-Plan_2018-2020_0.pdf).

35 Beneficial Ownership Leadership Group, <https://www.opengovpartnership.org/beneficial-ownership-leadership-group/>.

36 OGP National Action Plan of Latvia 2017-2019, ხელმისაწვდომია: <https://www.opengovpartnership.org/documents/latvia-national-action-plan-2017-2019/>

პარალელურად, მთავრობამ შეიტანა მოთხოვნა კერძო პირებისათვის (როგორც ბიზნესის, ასევე ასოციაციებისათვის) ელექტრონულ რეესტრში დაამატონ ინფორმაცია მათი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ. ამ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მოთხოვნის საფუძველზე და შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ.<sup>37</sup>

**EITI** არის მნიშვნელოვანი გლობალური ინიციატივა დიდ კომპანიებში გამჭვირვალობის მისაღწევად. EITI-ის წევრი ქვეყნების უმეტესობა ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია მოპოვებით სექტორში მოქმედი კომპანიების ბენეფიციარი მფლობელების შესახებ. ამის მისაღწევად, მათ EITI-ს წევრთა გარკვეულმა რაოდენობამ (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, განა, გვინეა, ყირგიზეთის რესპუბლიკა, მადაგასკარი, მალი, ნიგერია, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო) უკვე შეარჩიეს უწყება, რომელიც ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობას გააკონტროლებს. EITI-ს ქვეყნების უმეტესობა გეგმავს შეცვალოს საკანონმდებლო ბაზა და ბენეფიციარი მფლობელების გამჭვირვალობისთვის შექმნას ძლიერი საფუძველი. ამავე დროს, კორუფციასთან ბრძოლისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, ზოგიერთი წევრი ქვეყანა მიზნად ისახავს სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას. მაგალითისთვის, სიერა-ლეონეში შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება კორპორაციული საქმეთა კომისიის (Corporate Affairs Commission), ფინანსური დაზვერვის განყოფილების (Financial Intelligence Unit) და სხვა მარეგულირებელი უწყებების წარმომადგენლებისგან. სამუშაო ჯგუფი განიხილავს იურიდიულ ინიციატივებს და ცვლილებებს კანონმდებლობაში. EITI-ს კიდევ ერთი წევრი, მალავი, გეგმავს მალაროების პალატას (Chamber of Mines) მიანიჭოს ფორუმის ფუნქცია, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს კომპანიების შესაძლებლობების განვითარების მიზნით.<sup>38</sup>

## **ევროკავშირის დირექტივები ბენეფიციარ საკუთრებასთან დაკავშირებით**

ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის მხარდასაჭერად კიდევ ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო მხარეს წარმოადგენს ევროკავშირი.

არამოთანამშრომლე იურისდიქციების ჩამონათვალის შექმნის გარდა, ევროკავშირს აქვს რამდენიმე რეგულაცია ფულის გათეთრების აღკვეთის, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და ფარული ბენეფიციარების გამოვლენის შესახებ. კერძოდ, ეს დირექტივები და რეგულაციებია:

- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) 2015/847 (Regulation (EU) 2015/847 of the European Parliament and of the Council on information accompanying transfers of funds and repealing Regulation (EC) No 1781/2006);
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (EU) 2015/849 (Directive (EU) 2015/849 of the European Parliament and of the Council on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, amending Regulation (EU) No 648/2012 of the European Parliament and of the Council, and repealing Directive 2005/60/EC of the European Parliament and of the Council and Commission Directive 2006/70/EC);
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (EU) 2018/843 (Directive (EU) 2018/843 of the European Parliament and of the Council (the 5th Anti-Money Laundering Directive) amending Directive (EU) 2015/849 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, and amending Directives 2009/138/EC and 2013/36/EU).

ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (EU) 2018/843 - აძლიერებს გამჭვირვალობას კომპანიებთან, ტრასტებსა და სხვა გარიგებებთან დაკავშირებით საჯაროდ ხელმისაწვდომი რეესტრების შექმნის გზით; აფართოებს მაღალი რისკის მქონე მესამე ქვეყნების შეფასების კრიტერიუმებს და აუმჯობესებს ფინანსური ოპერაციების განხორციელებას ასეთ ქვეყნებთან მიმართებით; აუმჯობესებს თანამშრომლობასა და ინფორმაციის გაცვლას ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლ ორგანოებს შორის. გარდა ამისა, მე-5 დირექტივა ((EU) 2018/843) მიზნად ისახავს კავშირის დამყარებას ევროკავშირის ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინფორმაციის ამსახველ ეროვნულ რეესტრებს შორის, რაც ხელს შეუწყობს წევრ ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლას. ამავედროულად, ტრასტებში ბენეფიციარი მფლობელების შესახებ

37 OGP Latvia, ხელმისაწვდომია: <https://www.opengovpartnership.org/members/latvia/commitments/LV0038/>

38 How EITI Countries Will Publish Real Owners by 2020, ხელმისაწვდომია: <https://eiti.org/blog/how-eiti-countries-will-publish-real-owners-by-2020>.



მონაცემებზე წვდომა შეუზღუდავი იქნება უფლებამოსილი ორგანოებისთვის, და ბენეფიციარი საკუთრების რეესტრები იქნება საჯარო.

**პოლონეთის რესპუბლიკა** არ არის EITI-ს ან OGP-ის წევრი, მაგრამ ქვეყანამ შეიმუშავა სამართლებრივი ჩარჩო ბენეფიციარი მესაკუთრების საჯაროობის დასაცავად. 2019 წელს პოლონეთმა შექმნა ბენეფიციარი მესაკუთრების რეესტრი (Ultimate Beneficial Owner Registry), რომლის მიზანია საჭირო ინფორმაციის შეგროვება კომპანიის მფლობელ ფიზიკურ პირებზე. სასამართლოს ეროვნულ რეესტრში (National Court Registry) რეგისტრირებული კომპანიები ვალდებული არიან 7 დღის განმავლობაში წარმოადგინონ ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრების შესახებ ბენეფიციარი მესაკუთრის რეესტრში. პოლონეთის კანონმდებლობის თანახმად, ბენეფიციარი მფლობელი არის ფიზიკური პირი, რომელიც აკონტროლებს პოლონური კომპანიის წილის სულ მცირე 25%-ს.<sup>39</sup> შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის ვადის დარღვევისთვის დაწესებულია ჯარიმა 1,000,000 პოლონურ ზლოტამდე (PLN).

39 PWC, Obligatory Ultimate Beneficial Owner Registration, ხელმისაწვდომია: <https://www.pwc.pl/en/services/legal-services/polish-ultimate-beneficial-owner-register.html>.



**რეკომენდაციები  
საქართველოსთვის**



აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა ბენეფიციარ მესაკუთრეებთან დაკავშირებით დიდად არ განსხვავდება ზემოთ განხილული ქვეყნების მაგალითებისგან. საქართველო იმავე პრობლემების წინაშე დგას, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უმრავლესობა. საქართველო, როგორც ევროკავშირის ასოცირებული წევრი, ვალდებულია გაუმკლავდეს ბენეფიციარი საკუთრების სფეროში არსებულ გამოწვევებს და დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც კომპანიების ფარული მფლობელების ვინაობას გამოააშკარავებს. ამასთან ერთად, აუცილებელია განხორციელდეს ზომები, რომლებიც კანონმდებლობას ჰარმონიაში მოიყვანს ევროკავშირის დირექტივებთან.

ბოლო წლებში საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მათ შორის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), მოუწოდებენ საქართველოს მთავრობას შექმნას ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება კომპანიის საბოლოო მფლობელებზე ინფორმაციის შეგროვება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის არსებობა უმნიშვნელოვანესია მოპოვებითი მრეწველობისთვისაც.<sup>40</sup> სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობას არ გადაუდგამს ნაბიჯები ამ მიმართულებით.

IDFI ადვოკატირებას უწევდა საქართველოში ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნას და EITI-ს პრინციპების დანერგვას<sup>41</sup>, მაგრამ ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო არ დაეთანხმა შემოთავაზებულ ვალდებულებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, როგორც ევროკავშირის ასოცირებული წევრი, ვალდებულია დანერგოს ევროკავშირის დირექტივები, მათ შორის, ბენეფიციარ საკუთრებასთან მიმართებაში არსებული დირექტივები. ასოცირების შეთანხმების განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიშის თანახმად, ევროპარლამენტის და საბჭოს (EU) 2015/847 რეგულაციასთან დაახლოების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დაამტკიცა 2018 წლის 30 ნოემბრის N 253/04 ბრძანება „გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“<sup>42</sup>. ეს ბრძანება ითვალისწინებს გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის დეტალურ მითითებას და წარმოადგენს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობის განმტკიცების დამატებით სამართლებრივ ინსტრუმენტს. ამის მიუხედავად, არ არსებობს საჯარო ელექტრონული ინსტრუმენტი, სადაც ინფორმაციის წარდგენა ბენეფიციარი საკუთრების შესახებ სავალდებულო და საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნებოდა. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემდათ საქართველოს მოქალაქეებს განეხორციელებინათ ბენეფიციარი მესაკუთრეების ეფექტური კონტროლი.

ზემოთ აღნიშნული განხილვის საფუძველზე, საქართველოსთვის შეიძლება შემუშავდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც შეიძლება გავრცელდეს აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებზეც.

**პირველ რიგში, უნდა შეიქმნას ბენეფიციარი მესაკუთრეების საჯარო რეესტრი.** რეესტრი ღია უნდა იყოს ყველასთვის და სასურველია, რომ იყოს მინიმუმ ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამ ფუნქციის გამოყენება საჯარო რეესტრის ამჟამინდელ ელექტრონულ პლატფორმაზე ეფექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთ შავ სიაში მყოფი ქვეყნებიდან რეგისტრირებული კომპანიები, რომლებიც ბიზნეს საქმიანობას ახორციელებენ საქართველოში და არ აქვთ ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, ვალდებულნი იქნებიან დარეგისტრირდნენ მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის მითითებით.

გარდა ამისა, აღნიშნულ რეესტრში დარეგისტრირების შემდეგ, ასეთმა კომპანიებმა უნდა მიაწოდონ დამატებითი ინფორმაცია ანგარიშის სახით ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ცალკე შექმნილ ბენეფიციარი საკუთრების რეესტრში, როგორც ეს არის პოლონეთის მაგალითზე. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს „რეგისტრაციის პროცესი“ და „ანგარიშის წარდგენა“; რა სიხშირით უნდა განახლდეს ინფორმაცია; ექნებათ თუ არა რეესტრის მომხმარებელს კომპანიების საქმიანობის მონიტორინგისა და განახლებული ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში მიღების შესაძლებლობა; რა ფორმით მოხდება ინფორმაციის გაცვლა სხვა ბენეფიციარი მესაკუთრეების

40 მოპოვებითი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივა საქართველოში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2019, ხელმისაწვდომია: [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_2019/visegrad/EITI\\_Georgia\\_GEO\\_Final.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/visegrad/EITI_Georgia_GEO_Final.pdf).

41 IDFI-ს რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის 2021-2022 წლების ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმისთვის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2020, გვ 3, ხელმისაწვდომია: <https://idfi.ge/public/upload/OGP/IDFI%20OGP%20Commitments-gov-geo.pdf>.

42 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2019, გვ. 29, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nCJ5m6>.

რეესტრებთან და ა.შ. იმ შემთხვევაში თუ საქართველო არ აირჩევს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის არსებული ვერსიის განახლებას, ამის ნაცვლად, მას შეუძლია შექმნას ახალი რეესტრი, რომელიც მიზნად დაისახავს ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობას. ამ შემთხვევაში, შესაძლოა აქტუალური იყოს გაერთიანებული სამეფოს მაგალითი, რომელიც ზემოთ იყო განხილული.

**მაორე,** მიუხედავად იმისა, რომ კომპანიების წესდება ითვლება კერძო იურიდიულ შეთანხმებად მხარეებს შორის და კომპანიის პარტნიორებს შეუძლიათ დაიცვან ეს წესდება კონფიდენციალურობის პრინციპით, უნდა მოქმედებდეს მენეჯმენტის უფლებამოსილებისა და ხმის უფლების სავალდებულო გამჭვირვალობის პრინციპი. ეს ნათელს მოჰფენს მხარეებს შორის დადებული შეთანხმებებს გარკვეულ ნაწილს მაინც.

**მასაჰ,** გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება უწყებათაშორისი საბჭოს შექმნა, რომელსაც შეეძლება კოორდინაცია გაუწიოს სახელმწიფო და სამოქალაქო ორგანიზაციებს, განსაზღვროს სუბიექტები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე, შეიმუშავოს სახელმძღვანელო მითითებები და რეკომენდაციები დაინტერესებული მხარეებისთვის, დანერგოს ეთიკის პრინციპები საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიებისთვის და გაუწიოს ორგანიზება საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებს.

**მაოთხა,** სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა მოქმედი კანონმდებლობის შესწორებებით და ევროკავშირის დირექტივებთან შემდგომი ჰარმონიზებით გადამწყვეტი ნაბიჯია ბენეფიციარი საკუთრების შემდგომი გამჭვირვალობისთვის. კანონმდებლობის დაახლოების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს რეგულაციები სანქციებთან, აღსრულებასა და ზედამხედველობასთან დაკავშირებით.

**მასუთა,** საერთაშორისო პლატფორმების აქტიური გამოყენება, მაგალითად, OGP-ისა და EITI-ს პრინციპების მიღება, ხელს შეუწყობს ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობას. საქართველო OGP-ის წევრი ქვეყანაა, მაგრამ არ არის EITI-ს წევრი. წლების განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, განსაკუთრებით IDFI-ს ადვოკატირების მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ არ განახორციელა ვალდებულებები, რომლის მეშვეობითაც საქართველო EITI-ს წევრი ქვეყანა გახდებოდა. აქედან გამომდინარე, განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, რომლებიც ორივე დასახელებულ პლატფორმას აქტიურად იყენებენ, საქართველო მხოლოდ OGP-ის წევრია და არ სარგებლობს EITI-ს მიერ შეთავაზებული შესაძლებლობებით.



**გამოყენებული  
ლიტერატურა**



1. მოპოვებითი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივა საქართველოში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2019, [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_2019/visegrad/EITI\\_Georgia\\_GEO\\_Final.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/visegrad/EITI_Georgia_GEO_Final.pdf).
2. საქართველო ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე, IDFI, 2016, <https://idfi.ge/ge/georgia-at-london-anti-corruption-summit>.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის ბრძანება N 253/04 „გადარიცხვის თანხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, [https://www.nbg.gov.ge/uploads/sagadaxdo/legalaqt2020/253.04\\_.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/sagadaxdo/legalaqt2020/253.04_.pdf).
4. IDFI-ს რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის 2021-2022 წლების ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმისთვის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2020, <https://idfi.ge/public/upload/OGP/IDFI%20OGP%20Commitments-gov-geo.pdf>.
5. 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2019, <https://bit.ly/3nCJ5m6>.
6. Declaration of National Commitment to Meet the Beneficial Ownership Transparency Disclosure Principles, <https://www.openownership.org/uploads/oo-disclosure-principles.pdf>.
7. Doing Business, Methodology of Doing Business, <https://www.doingbusiness.org/en/methodology>.
8. EU Directive 2015/849 of the European Parliament and of the Council on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, amending Regulation (EU) No 648/2012 of the European Parliament and of the Council, and repealing Directive 2005/60/EC of the European Parliament and of the Council and Commission Directive 2006/70/EC, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32015L0849&from=EN>.
9. EU Directive 2018/843 of the European Parliament and of the Council (the 5th Anti-Money Laundering Directive) amending Directive (EU) 2015/849 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, and amending Directives 2009/138/EC and 2013/36/EU, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32018L0843&from=EN>.
10. EU Regulation 2015/847 of the European Parliament and of the Council on information accompanying transfers of funds and repealing Regulation (EC) No 1781/2006, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32015R0847&from=EN>.
11. EITI, Beneficial Ownership Disclosure Roadmap of the Republic of Armenia, 2018, [https://eiti.org/files/documents/bo\\_roadmap\\_draft\\_en.pdf](https://eiti.org/files/documents/bo_roadmap_draft_en.pdf).
12. Enache, R., Cayman Islands, Palau, Panama and Seychelles added to the EU list of non-cooperative jurisdictions, KPMG, 2020, <https://home.kpmg/xx/en/home/insights/2020/02/etf-424-eu-blacklist-update.html>.
13. European Business Registry Association, <https://ebra.be/the-international-business-registers-report-2018/>.
14. Extractive Industries Transparency Initiative in Georgia, Institute for Development of Freedom of Information, 2019, [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_2019/visegrad/EITI\\_Georgia\\_ENG\\_Final.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/visegrad/EITI_Georgia_ENG_Final.pdf).
15. FATF, Best Practices on Beneficial Ownership for Legal Persons, 2019, <https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/Best-Practices-Beneficial-Ownership-Legal-Persons.pdf>.
16. FATF, Concealment of Beneficial Ownership, 2018, <https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/FATF-Egmont-Concealment-beneficial-ownership.pdf>.
17. FATF, Guidance - Transparency and Beneficial Ownership, 2014, <http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/Guidance-transparency-beneficial-ownership.pdf>.
18. FATF, International Standards on Combating Money Laundering and the Financing of Terrorism & Proliferation – the FATF Recommendations, 2019, <http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/recommendations/pdfs/FATF%20Recommendations%202012.pdf>.
19. Georgia at the London Anti-Corruption Summit, IDFI, 2016, <https://idfi.ge/en/georgia-at-london-anti-corruption-summit>.
20. Global Forum on Asset Recovery (GFAR), Guide to Beneficial Ownership Information in Ukraine: Legal Entities and Legal Arrangements, 2017, [https://star.worldbank.org/sites/star/files/bo\\_country\\_guide\\_ukraine\\_english\\_final.pdf](https://star.worldbank.org/sites/star/files/bo_country_guide_ukraine_english_final.pdf).
21. How EITI Countries Will Publish Real Owners by 2020, <https://eiti.org/blog/how-eiti-countries-will-publish-real-owners-by-2020>.
22. IDFI's Recommendations for the 2021-2022 Open Government Action Plan, IDFI, 2020, <https://idfi.ge/public/upload/OGP/>

*translation-IDFI-OGP-Commitments-gov-eng.pdf.*

23. Info Dienste, <https://dienste.manz.at/vst/fb/fb.jsf>.
24. Kenya OGP 3rd National Action Plan 2018-2020, [https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2018/12/KENYA\\_Action-Plan\\_2018-2020\\_0.pdf](https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2018/12/KENYA_Action-Plan_2018-2020_0.pdf).
25. Knobel, A. Beneficial Ownership Verification: Ensuring the Truthfulness and Accuracy of Registered Ownership Information, 2019, <https://adamsmithinternational.com/app/uploads/2019/07/Towards-a-Global-Norm-of-Beneficial-Ownership-Transparency-Phase-2-Paper-March-2019.pdf>.
26. OECD, A Beneficial Ownership Implementation Toolkit, <https://www.oecd.org/tax/transparency/beneficial-ownership-toolkit.pdf>.
27. OGP, Beneficial Ownership, <https://www.opengovpartnership.org/policy-area/beneficial-ownership/>.
28. OGP Latvia, <https://www.opengovpartnership.org/members/latvia/commitments/LV0038/>.
29. OGP National Action Plan of Latvia 2017-2019, <https://www.opengovpartnership.org/documents/latvia-national-action-plan-2017-2019/>.
30. OGP National Action Plan of the Slovak Republic 2020-2021, 2019, [https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2019/12/Slovakia\\_Action-Plan\\_2019-2021\\_EN.pdf](https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2019/12/Slovakia_Action-Plan_2019-2021_EN.pdf).
31. President of the National Bank of Georgia approved Order No 253/04 of 30 November 2018 on the Regulations on Information Accompanying Transfers of Funds, [https://www.nbg.gov.ge/uploads/sagadaxdo/legalaqt2020/253.04\\_.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/sagadaxdo/legalaqt2020/253.04_.pdf).
32. Register of Public Sector Partners, <https://rpvs.gov.sk/rpvs/>.
33. Progress Report of the 2018 National Action Plan for the Implementation of the Association Agreement, MFA, 2019, [shorturl.at/sMZ38](https://shorturl.at/sMZ38).
34. PWC, Obligatory Ultimate Beneficial Owner Registration, <https://www.pwc.pl/en/services/legal-services/polish-ultimate-beneficial-owner-register.html>.
35. Strengthened EU Rules to prevent money laundering and terrorism financing, What Does the 5<sup>th</sup> Anti-money Laundering Directive Bring? Fact Sheet, July 9, 2018.
36. Transparency International, Recommendations on Beneficial Ownership for OGP Action Plans, 2019, <https://images.transparencycdn.org/images/Rec-on-Beneficial-Ownership-Transparency-for-OGP-action-plans-FINAL.pdf>.
37. Treisman, L., and Greene, C., From the “Why” to the “How”: Working with EITI and OGP, 2019, <https://www.openownership.org/news/from-the-why-to-the-how-working-with-eiti/>.
38. Why Improve the Register of Beneficial Owners, Kozlovtseva A., <https://bit.ly/3m0LreG>.
39. Willebois, D. E., Halter M. E., Harrison A. R., Park W. J., Sharman C. J., The Puppet Masters – How the Corrupt Use Legal Structures to Hide Stolen Assets and What to Do About It, World Bank, 2011, <https://star.worldbank.org/sites/star/files/puppetmastersv1.pdf>.



